ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6072345

ნომერი: AR1916680

თარიღი : 05.08.2022

გაცემის თარიღი : 08.08.2022

გაცნობის თარიღი : 08.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 117;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ბრეკაშვილი პ/ნ 40001039606
- სიღნაღი ს. ქვემო ბოდბე მე–17 ქ. N 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1... სარეკონსტრუქციო შენობის ნაწილები სცდება საკადასტრო საზღვრებს. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს, მოიყვანეთ შესაბამისობაში.

2... არ დგინდება შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯიას" უფლებამოსილება საპროექტო ობიექტის მიმართ. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იჯარა, ქირავნობა და ა.შ), საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. წარმოდგენილ იქნეს შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯიას" სახელით მინდობილობის გამცემი პირის საბა ჯიშიაშვილის მინდობილობის გაცემაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. მესაკუთრის თანხმობა არ არის მისაღები, ვინაიდან არ არის დამოწმებული. ამასთან, შპს ვაზის დირექტორი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სუბიექტია გიორგი დარჩიაშვილი, ხოლო თანხმობას ხელს აწერს გ.სვანიძე. საჭიროა სათანადო წესით ხელმოწერილი/დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა. საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ობიექტის მოსარგებლეს წარმოადგენს შპს რომპეტროლ საქართველო. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სუბიექტი აღარ წარმოადგენს მოსარგებლეს, საჭიროა განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგენა, რომ მითითებული სუბიექტი აღარ ფიქსირდებოდეს მოიჯარედ.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შეთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.